ხელშეკრულება

ქ.ახალციხე 18.04. 2019 წ.

ჩვენ, აღნიშნული ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის მაკა ბერიძის სახით (შემდგომში-უნივერსიტეტი) და მეორეს მხრივ მეცხოველეობის ფერმა მისი წარმოდგენელი ნოვატორი ფერმერის კახაძე მაყვალას სახით (შემდგომში-ფერმერი), ორივე მხარე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი:**
   1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ფერმერი, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სპეციალობის პრაქტიკისა და სასწავლო კურსების სილაბუსის/სილაბუსების შესაბამისად უზრუნველყოს პრაქტიკული ტრენინგების განხორციელება მეანობა-გინეკოლოგიაში, პროდუქტიული ცხოველების მედიცინაში და ვეტერინარიულ ზედამხედველობაში.
   1.2 პროგრამის სახელწოდებაა: ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
   1.3 პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პრაქტიკული ღონისძიებები მიმართულია ვეტერინარიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვისა და მათთვის შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისაკენ.

2. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა და პირობები**
   2.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
   2.2 ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 2 თვით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე.

3. **მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**
   3.1 ფერმერის უფლებებია:
   - ფერმის შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით საჭიროების შემთხვევაში დასვას პრაქტიკის გრაფიკის ცვლილების საკითხი.
   - მოითხოვოს პრაქტიკის ობიექტზე შინაგანაწესის შესრულება, დაცვა და განახორციელოს კონტროლი.
   - განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

4. ფერმერი ვალდებულია:

4.1 უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით;
4.2 გამოყოს კვალიფიციური სპეციალისტი პრაქტიკის ხელმძღვანელად;
4.3 უზრუნველყოს სპეციალისტების მიერ სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება და ჩართონ სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში;
4.4 ნება დართოს უნივერსიტეტის წარმომადგენელს დაესწროს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროცესს.

5. უნივერსიტეტის უფლებებია:

- საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროგრამაში შეტანილი ცვლილებები ასახოს სილაბუსებში

6. უნივერსიტეტი ვალდებულია:

6.1 სასწავლო სემესტრის დაწყებისას მიაწოდოს ფერმერს, სტუდენტების სია და მათი საკონტაქტო ინფორმაცია;
6.2 დროულად მოახდინოს ფერმერის ინფორმირება სპეციალობის პრაქტიკის პროგრამაში და სილაბუსის ცვლილების შემთხვევაში.
6.3 დაიცვას შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
6.4 ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.
7.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მეცხოველეობის ფერმა მისამართი: ასპინძის რაიონი სოფ.რუსთავი ნოვატორი ფერმერი, კახაძე მაყვალა	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საიდენტიფიკაციო კოდი: 424066977 მისამართი: ახალციხე, რუსთაველის 113 რექტორი, ასოცირებული პროფესორი: მაკა ბერიძე

SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY 424066977